## საქართველოს კანონი

## საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 182-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის:

ა.ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ახორციელებს ბუნებრივი აირის (აირისებრ მდგომარეობაში) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;“;

ა.ბ) „დ$^{1}$“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„დ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირი აქციზის გადამხდელად ითვლება მხოლოდ აღნიშნულ ოპერაციებზე.“.

2. 184-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ბუნებრივი აირის (აირისებრ მდგომარეობაში) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდების მომენტი;“.

ბ) „დ$^{1}$“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. 185-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ბუნებრივი აირისათვის (აირისებრ მდგომარეობაში) – აირის მოცულობით;“;

ბ) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ$^{1}$“ ქვეპუნქტი:

„ვ$^{1}$) ბუნებრივი აირის კონდენსატისათვის ან/და გათხევადებული ბუნებრივი აირისათვის – წონით;“.

4. 188-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის ცხრილის მე-5 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 | ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა) | | | |
| | 2709 00 100 00 | – აირის კონდენსატი ბუნებრივი | 1 ტ | 300 |
| | 2711 11 000 00 | – – ბუნებრივი აირი (გათხევადებული) | 1 ტ | 300 |
| | 2711 12 | – – პროპანი | 1 ტ | 300 |
| | 2711 13 | – – ბუტანები | 1 ტ | 300 |
| | 2711 14 000 00 | – – ეთილენი, პროპილენი, ბუტილენი და ბუტადიენი | 1 ტ | 300 |
| | 2711 19 000 00 | – – დანარჩენი | 1 ტ | 300 |
| | 2711 21 000 00 | – – ბუნებრივი აირი (აირისებრ მდგომარეობაში) | 1000 მ$^3$ | 200 |
| | 2901 10 000 00 | – გაჯერებულები | 1 ტ | 300 |
| | 2901 23 | – – ბუტენი (ბუტილენი) და მისი იზომერები: | 1 ტ | 300 |

“;

ბ) მე-8 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

5. 191-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქციზის გადამხდელი;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი | სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

**12** ივნისი **2020 წ.**

**N6343-II**ს